თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3909474

გაცემის თარიღი: 12/04/2018 გაცნობის თარიღი: 12/04/2018

განცხადების ნომერი: AR1590589
შემოსვლის თარიღი: 03/04/2018
შედეგი: **განუხილველი**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.17.003.206
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ალეკო გობრონიძის ქუჩა , N 11
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 6490.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ბალავარი" (200269583)

ნომენკლატურა :

- **განსორციელებული მშენებლობის დადასტურება**
- **IV კლასის ობიექტი**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლუკა ღუდუშაური პ/ნ 01008054066
- მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 45 კორ. 26 ბ. 4

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N3485509
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.08.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის N ბ-19/01180431504-17 ბრძანების თანამხად:

1. შეცვლილია შენობის მზიდი კონსტრუქციის ნაწილები შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქტორის საექსპერტო შეფასება სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით წარმოებული მშენებლობის შესახებ.

2. შენობაზე მოწყობილი გამათბობლის ქვაბები, კონდიციონერები, სატელიტური ანტენები და გამწოვი მილები საჭიროა მოეწყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ერთიანი იერსახის გათვალისწინებით. საჭიროა გაუქმდეს შენობაზე დამატებით მოწყობილი ტექნიკური დანადგარები, რის შემდეგაც შეიტანეთ ცვლილება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტში და წარმოდგინეთ განახლებული ფოტოსურათები.

3. საჭიროა დასრულდეს ზედამხედველობის ბრძანებაში დაფიქსირებული დაუსრულებელი სამშენებლო სამუშაოები, რის შემდეგაც შეიტანეთ ცვლილება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტში და წარმოდგინეთ განახლებული ფოტოსურათები.

4. ტერიტორიიდან გატანილ იქნას სამშენებლო ნარჩენები.

5. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სახელმწიფოსთან არსებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა ვინაიდან მითითებაა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობაზე. ასევე წარმოდგენილ იქნეს სოსო გოგაძესთან არსებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მისი თანხმობა ასევე შესაძლებელია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლეთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183023155**
თარიღი: **29/10/2018**
პინი: **8954**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: მამია ჯაში
პირადი ნომერი: 01024005877
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ჩიხი, N5, ბ. 4

თქვენი N19/0118261480-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ალეკო გობრონიძის ქ. N11-ში (საკ. კოდი N01.11.17.003.206) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური შენობის II ეტაპის „ბ“ ბლოკი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)) გადამოწმებით დადგინდა ფასადებზე მოიხსნა დამატებით მოწყობილი გამათბობლის ქვაბები, კონდიციონერები, სატელიტური ანტენები და გამწოვი მილები. ხოლო პროექტით გათვალისწინებული გამათბობლის ქვაბები განთავსდა შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. ტერიტორიიდან გატანილია სამშენებლო ნაჩენები. „თ-ა“ ფასადზე კედლები შეილესა და შეიღება სრულად. „ზ-ე“ მონაკვეთში მდებარე ბაქანზე დასრულდა მოაჯირების მოწყობა, „ბ-ა“ მონაკვეთში სამანქანო პანდუსზე მოწყობილი ლითონის მოაჯირები შეიღება. „ა“ ღერძის გარეთ +17,55 ნიშნულზე შეიმინა ვიტრაჟი. სამსახურის 29.03.2018წ. Nბ-19/01180431504-17 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7

შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013
GAC–IB-0147

შპს „რეალექსპერტი“ ინსპექტირების ორგანო

ინსპექტირების ანგარიში

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0147

ადასტურებს, რომ

შპს „რეალექსპერტი“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. #23;

ფილიალი: ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. #2;

ფილიალი: ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. #27ა;

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება; 3. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით) 4. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 5. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 6. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა, კონსტრუქციული ნაწილი, არქიტექტურული ნაწილი, საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი. (იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“); (იხ. დანართი - ქ. ფოთის ფილიალის „აკრედიტაციის სფერო“); (იხ. დანართი - ქ. ბათუმის ფილიალის აკრედიტაციის სფერო)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
28 დეკემბერი 2017 წ.

ქალაშია
20 ივლისი 2020 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“. სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938

ქ.თბილისი

26.09. 2018 წ.

ინსპექტირების ანგარიში № R-E.TP.G04.FA.772.18

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ინსპექტორი გაფრთხილებული და პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

ინსპექტორის ხელმოწერა ----------

ინსპექტირების სფერო: პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

ინსპექტირების ობიექტი: ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსი.

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი: განაცხადი № R-E.MP.G09.772.18

დამკვეთი: შპს „ბალავარი“ ს/კ:200269583

შემსრულებელი ინსპექტორი:ვახტანგ ციტაიშვილი

ტექნიკური მენეჯერი: ვახტანგ ციტაიშვილი

ინსპექტირების წინაშე დასმული კითხვები: ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

ინსპექტირებაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე გაცემული საექსპერტო დასკვნა (31.08.2016) და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე გაცემული საექსპერტო დასკვნა (15.03.2017)

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 17.09.2018წ. – 26.09.2018წ.

ინსპექტირების ანგარიში

შედეგები:

ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსის მშენებლობის პროცესში განხორციელებული ცვლილებები უმნიშვნელოა, იგი ვერ ახდენს ზეგავლენას შენობის მზიდუნარიანობაზე და მასზე მოსულ სეისმურ დატვირთვებზე, რის საფუძველზეც ქ.თბილისში მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსზე განხორციელებული ცვლილებებით მშენებლობის გაგრძელებას ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

ვრცლად იხილეთ კვლევით ნაწილში.



გამოკვლევა

ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) შპს „დილემა“-ს მიერ დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსის პროექტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებული A-3 ფორმატზე ალბომის სახით .

ზემოთ ხსენებული „ბ“ კორპუსის კონსტრუქციულმა ნაწილმა პირველი ექსპერტიზა გაიარა 31.08.2016 წელს, შემდეგ პროექტმა განიცადა კორექტირება, რომელმაც ექსპერტიზა გაიარა 15.03.2017 წელს.

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროცესში შენობის კარკასმა განიცადა ცვლილება. კერძოდ, შეიცვალა რიგი მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და დიაფრაგმების ღერძებთან მიბმები.

აღნიშნული ცვლილება იმდენად უმნიშვნელოა კონსტრუქციულად, უარყოფით გავლენას მშენებარე კორპუსის მზიდუნარიანობასა და სეისმურობაზე ვერ მოახდენს.

კონსტრუქციული თვალსაზრისით აღნიშნული ცვლილებები სავსებით მისაღებია შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის თვალსაზრისით.

ამდენად, ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსის მშენებლობის პროცესში განხორციელებული ცვლილება აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი მშენებლობის წესებსა და ნორმატივებს.

აღნიშნული ცვლილებები შეტანილ იქნა Lir 9.4-ის მეშვეობით შესრულებული სივრცული კარკასის გაანგარიშებაში. გადაანგარიშების შედეგად მიღებულ პასუხებში (გადაადგილება, ჯდენა და ა.შ.) სხვაობა არ დაფიქსირებულა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე ქ.თბილისში მუხიანის დასახლება I და II მ/რ-ის მიმდებარედ (გობრონიძის ქ. 03/036 ნაკვეთის მიმდებარედ) საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ კორპუსის მშენებლობის პროცესში განხორციელებული ცვლილებები დასაშვებად ჩაითვალოს და წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით მიეცეს დადებითი რეკომენდაცია მშენებლობის პროცესის გასაგრძელებლად.

კვლევაში გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

- სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП - ნაწილი I);
- სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП - ნაწილი II);
- სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП - ნაწილი III);
- საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №71)
- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები R-E.TP.G08.17

შემსრულებელი ინსპექტორი : ვახტანგ ციტაიშვილი

ტექნიკური მენეჯერი: ვახტანგ ციტაიშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა:
ინსპექტირების ორგანოს უფროსი: კახაბერ ვარძიელი